

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო
უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება № 01-01/39

თბილისი

„29“ ივლისი, 2021 წ.

აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე, 35-ე მუხლების, შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის დებულების მე-10 მუხლის 10.6 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, 43-ე და 46-ე მუხლების, უნივერსიტეტის წესდების მე-5 მუხლის 5.6. და 5.7. პუნქტების, „აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის, მოწვეული სპეციალისტისა და მასწავლებლის არჩევის წესის“ მე-5 მუხლის პირველი; მე-3 და მე-5 პუნქტების თანახმად, ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანის წარდგინებისა და სამართლის ფაკულტეტის დეკანის წარდგინების, სამართლის ფაკულტეტის საბჭოს სხდომის 2021 წლის 22 ივლისის ოქმი N11-ის ამონაწერის და ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს სხდომის 2021 წლის 27 ივლისის ოქმი #9 ამონაწერის საფუძველზე

ვბრძანებ

1. 2021 წლის 29 ივლისს გამოცხადდეს ღია კონკურსი შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის პროფესორის 6 (ექვსი) წლის; ასოცირებული პროფესორის 4 (ოთხი) წლის და ასისტენტის 3 (სამი) წლის ვადით დასაკავებლად.
2. კონკურსის მონაწილეების საბუთების მიღება იწარმოოს 2021 წლის 03 სექტემბრიდან 2021 წლის 10 სექტემბრის ჩათვლით. ყოველდღიურად, შაბათ-კვირის გარდა, 10:00 საათიდან 15:00 საათამდე. კონკურსი ჩატარდება 2021 წლის 13 სექტემბერს. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საუნივერსიტეტო სააპელაციო კომისიაში შედეგების გამოცხადებიდან 3 დღის ვადაში (14, 15, 16 სექტემბერი). კონკურსი დასრულდეს და საბოლოო შედეგები გამოქვეყნდეს 2021 წლის 17 სექტემბერს.

3. კონკურსის საფუძველზე უნივერსიტეტში არჩეული იქნება 7 აკადემიური პერსონალი - 5 პროფესორი, 1 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტი.

სამართლის ფაკულტეტი

კლასიფიკატორის შესაბამისი სწავლის ვიწრო სფერო - სამართალი (042)

კლასიფიკატორის შესაბამისი სწავლის დეტალური სფერო - სისხლის სამართალი (0421.2.2)

სასწავლო კურსი - სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი და კერძო)

ვაკანტური ადგილი - პროფესორი - 1 საშტატო ერთეული

კლასიფიკატორის შესაბამისი სწავლის ვიწრო სფერო - სამართალი (042)

კლასიფიკატორის შესაბამისი სწავლის დეტალური სფერო - კერძო სამართალი (0421.2.3)

სასწავლო კურსი - სამოსამართლო ეთიკა

ვაკანტური ადგილი - ასოცირებული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული

ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტი

ვიწრო სფერო - 031 - სოციალური და ქცევითი მეცნიერებები

დეტალური სფერო - 0311.1.1 - ეკონომიკა

ვაკანტური ადგილი - პროფესორი - 1 საშტატო ერთეული

საგანი - Microeconomics, Macroeconomics, Gender Studies

ვიწრო სფერო - 031 - სოციალური და ქცევითი მეცნიერებები

დეტალური სფერო - 0313.1.1 - ფსიქოლოგია

ვაკანტური ადგილი - ასისტენტი - 1 საშტატო ერთეული

საგანი - კლინიკური ფსიქოლოგია, ფსიქოთრაპიის საფუძვლები, ფსიქო ანალიზი

ვიწრო სფერო - 041 -ბიზნესი და ადმინისტრირება

დეტალური სფერო - 0413.1.1-მენეჯმენტი

ვაკანტური ადგილი - პროფესორი -1საშტატო ერთეული

საგანი - მენეჯმენტის საფუძვლები,ანტიკრიზისული მენეჯმენტი, სახელმწიფო მართვა, კონფლიქტების მართვა

ვიწრო სფერო - 061ინფორმაციის და კომუნიკაციის ტექნოლოგიები

დეტალური სფერო - 0611-კომპიუტერის გამოყენება

ვაკანტური ადგილი - პროფესორი- 1 საშტატო ერთეული

საგანი - ინფორმაციული ტექნოლოგიები ბიზნესში

ვიწრო სფერო - 101 პერსონალური მომსახურებები

დეტალური სფერო - 1015.1.1 მოგზაურობა, დასვენება, ტურიზმი

ვაკანტური ადგილი - პროფესორი- 1 საშტატო ერთეული

საგანი - ეკო ტურიზმი

6 (ექვსი) წლის ვადით პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად

კონკურსში მონაწილეობისათვის აუცილებელია:

- დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
- სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება;
- ადგილობრივ ან/და საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში ან/და სხვა გამოცემებში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების სია;
- მოტივაცია, დასაბუთება პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად (1-2 გვერდზე, Sylfaen – 12, 1,5ინტერვალით);
- იმ საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების კონცეფცია (აღწერა), რომლის განხორციელებაში მონაწილეობის სურვილიც აქვს კონკურსსანტს (3-4 გვერდზე Sylfaen – 12, 1,5ინტერვალით);
- იმ სასწავლო კურსების ხედვა, რომლის წაკითხვის სურვილიც აქვს კონკურსსანტს აკადემიური თანამდებობის დაკავების შემთხვევაში; საგანმანათლებლო პროგრამისა და სილაბუსის შემუშავების პრაქტიკული გამოცდილება;
- ბოლო 10 წელიწადში გამოქვეყნებულ ნაშრომთა სია.

არსებობის შემთხვევაში კონკურსსანტმა შეიძლება წარმოადგინოს:

- ბოლო სამი წლის განმავლობაში საგრანტო პროექტებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- სამეცნიერო კონფერენციებსა და პროფესიული განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობის მიღების დამადასტურებელი დოკუმენტაცია

- უცხო ენების ფლობის დამადასტურებელი სერტიფიკატი.

ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობისათვის აუცილებელია:

- დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
- სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება;
- მოტივაცია, დასაბუთება ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად (1-2 გვერდზე, Sylfaen – 12, 1,5 ინტერვალით);
- იმ სასწავლო კურსების ხედვა, რომლის წაკითხვის სურვილიც აქვს კონკურსანტს. აკადემიური თანამდებობის დაკავების შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამისა და სილაბუსის შემუშავების პრაქტიკული გამოცდილება;
- ბოლო 10 წელიწადში გამოქვეყნებულ ნაშრომთა სია.

არსებობის შემთხვევაში კონკურსანტმა შეიძლება წარმოადგინოს:

- ბოლო სამი წლის განმავლობაში საგრანტო პროექტებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- უცხო ენების ფლობის დამადასტურებელი სერტიფიკატი.

ასისტენტის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობისათვის აუცილებელია:

- დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ან დოქტორანტურის წავლის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- მოტივაცია, დასაბუთება ასისტენტის თანამდებობის დასაკავებლად (1-2 გვერდზე Sylfaen – 12, 1,5 ინტერვალით);

სასურველია კონკურსანტმა წარმოადგინოს:

- უკანასკნელისამიწლის განმავლობაში გამოქვეყნებულ ნაშრომების სია.
 - უცხო ენის ფლობის დამადასტურებელი სერტიფიკატი.

4. ყველა კონკურსანტი ვალდებულია წარმოადგინოს:

- განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ;
- ავტობიოგრაფია (CV)
- საქართველოს მოქალაქეობის პირადობის მოწმობის ასლი;
- ორი ფერადი ფოტოსურათი ზომით (3X4)
- ცნობა სამსახურიდან შრომის სტაჟის ან ამონაწერი შრომის წიგნაკიდან.

5. უცხოენოვანი კურსების წასაკითხად, კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს: უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი, B2 დონეზე ცოდნის ფლობის დამადასტურებელი სერთიფიკატი, ინგლისურენოვანი კურსების სწავლების გამოცდილება, ერთი საცდელი ლექციის ჩატარება ინგლისურ ენაზე.
6. მამაკაცებმა 27 წლამდე უნდა წარმოადგინონ სამხედრო ბილეთის ან მიწერის მოწმობის ასლი.
7. დაევალოს PR მიმართულების ხელმძღვანელს აღნიშნული ბრძანების გამოქვეყნება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, დასაქმების საიტზე და საქართველოს პერიოდულ პრესაში.
8. დაევალოს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს ბრძანება გააცნოს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

**შპს გურამ თავართქილაძის სახელობის
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის**

რექტორი, პროფესორი
გიორგი მათიაშვილი

აღმასრულებელი დირექტორი
ელისო ელისაშვილი